42(197) 17.11.2000 პარასკევის გამოშვება 30 თეთრი

# ფანტაზია 2000

„ალო, ფანტაზიაში“ ჯეკპოტია, მე-9 ტურში თამაშდება 20 ლარი

# ერთი სიტყვის კროსვორდი





**თარაზულად**: 4. ჩვენი კურორტი, რომელსაც წარსულში გატაცებით უმღეროდა მშვენიერი მარეხ გოძიაშვილი. 7. სიტყვით გამოსვლა ჩვენს სუფრაზე, როცა ყველასაგან ნადღეგრძელები ხარ. 10. ჩვენი (ზღაპრული რაჭის) კურორტი, რომლის შესახებაც სიმღერის შექმნა მომავლის საქმეა. 11. ჩვენი არ იყო, მარამ მაინც გვიყვარდა ჯო დასენი... გაიხსენეთ იმ მინდვრების ნათლია, რომელსაც მან უმღერა. 12. ჩვენი უმშვენიერესი მედეა ჯაფარიძის ყველაზე ცნობილი როლი. 13. სახელი დიდებული მოჭადრაკე ქალბატონისა, რომელიც ჩვენს ისტორიას, პატივისცემის ნიშნად, სწორედ რომ მხოლოდ სახელით შემორჩება. 14. ჩვენი ყველაზე „დავლათიანი კაცი“... გენიალური ვაჟას თანახმად.15. ჩვენი ფლორის ყველაზე ტანწერწეტა ხე. 16. სახელი ფანტასტიური ფეხბურთელისა, რომელიც ჩვენს ისტორიას, პატივისცემის ნიშნად, სწორედ რომ მხოლოდ სახელით შემორჩება. 17. ჩვენი სულით ობოლო ტატოს ერთადერთი ნამდვილი მეგობარი. 19. (ბატონი) ხუნჭუა... რა თქმა უნდა, ჩვენი ულამაზესი სამეგრელოდან. 20. ჩვენი ესტრადის ლეგენდარული მომღერალი... გაიხსენეთ თუნდაც ფილმი „ყვავილი თოვლზე“ ... ვინ მღერის იქ (სახელი და გვარი). 22. 70-იანი წლების ჩვენი საესტრადო ანსამბლი.

**შვეულად**: 1. სიგიჟემდე შეყვარება ანუ რა (ჩვენს ბექანას და ტარიელს რომ სჩვევიათ?) 2. იხილეთ ეს არაჩვენ-ებური ქალბატონი და გაიხსენეთ ჩვენი სიტყვაკომპოზიტი (როგორი?), რაც მის დგომას ახასიათებს. 3. რა ჰქვია ჩვენს ცხოვრებას ახლა... მთლიანობაში? 5. (იმათი) სერიალების (ჩვენი) საუკეთესო გამხმოვანებელი (სახელი და გვარი). 6.ჩვენი დიდებული მოჭადრაკე ქალბატონი. 8. ქალაქი იმ ქვეყნისა, სადაც ჩვენო ფორე მოსულიშვილი გმირად შერაცხეს. 9. როგორი პერსონაჟია ეს „იმნაირად“ მდგომი ქალბატონი ჩვენი კროსვორდისათვის? 17. ჩვენი უნიჭიერესი გოგონების ანსამბლი. 18. რა შექმნეს ჩვენი ღიმილის ბიჭებისაგან რუსის ჯარში (ხომ არ ვცდებით?!) 21. ფიდეს ექსპრეზიდენტი, რომელმაც ორ ჩვენს დიდებულ მოჭადრაკე ქალბატონს მსოფლიო ჩემპიონობის გვირგვინი დაადგა.

გაცნობებთ, რომ მსოფლიო კინოს „50 ლეგენდის“ რუბრიკაში პირველი წერილი მიეძღვნება ტომ კრუზს (იხილეთ შემდეგი ნომერი)

იხილეთ მე-6 გვერდი

## ჩვენ განვაახლეთ საკროსვორდო ენციკლოპედიის ბეჭდვა ანუ ბან-ზე გავედით!!!

*აფორიზმი №900* – ზოგჯერ თავი ისე უსარგებლო მგონია ამ ცხოვრებაში, როგორც სტრიპტიზიორ ქალს ნუდისტების პლაჟზე... (იხილეთ მე-8 გვერდი)

ნომრის მთავარი იაპონური ნახატი (იხილეთ მე-12 გვერდი)




მე-9 ტური
19.XI.
18-20 სთ

- ტურნირი ჩატარდება 12 ტურად, კვირაში ერთხელ
- 3 სატურნირო კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემის შემთხვევაში გამარჯვებული მიიღებს 10 ლარს (რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში ეს თანხა განაწილდება); ორ საპრემიო კითხვაზე პასუხის გაცემა სავალდებულო არ არის, მაგრამ თუ ვინმე ისურვებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემას და ორივეს ზუსტად ამოიცნობს, მიიღებს საპრემიო 10 ლარს ((რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში ეს თანხაც განაწილდება). საპრემიო პასუხები ჩაეთვლებათ მხოლოდ მათ, ვინც 3 სატურნირო კითხვასაც სწორად უპასუხებს.
- საპრემიო კითხვებზე ქულა არ იწერება.
- მესამე ტურნირის საბოლოო გამარჯვებულს დამატებით მიეცემა კიდევ 10 ლარი. თანხის გაცემა იწარმოებს ყოველი ოთხი ტურის შემდეგ. ტურნირში ჩართვა შეგიძლიათ ნებისმიერი ტურიდან.
- ტელეფონები:
79-53-70, 8-77 45-19-80

**ყურადღება!!! ყურადღება!!!**

**მე-9 ტური, გამონაკლისის სახით, ჩატარდება არა ორშაბათს, არამედ კვირას, 19 ნოემბერს, 18-20 საათებში. გაითვალისწინეთ!**

## გასული ტურის პასუხები და შედეგები

სატურნირო კითხვები: 1. კოტე მახარაძე. 2. ვაგნერი. 3. ეს ლუდხანა არსებობდა ჯვაროსნების დროიდან, ამიტომ „ჯვრის“ არსებობა მის სახელში უფრო გამართლებული იყო (აუცილებელი იყო „ჯვაროსნების“ ხსენება).

საპრემიო კითხვები: 1. ნურადინ-ფრიდონი. 2. ...რაც უნდა ქალს.

სამივე სატურნირო და ორივე საპრემიო კითხვა ვერავინ გამოიცნო, ამიტომ მე-8 ტურის 10 ლარი ჯეკ-პოტის სახით გადადის მე-9 ტურში და ამ ტურში თამაშდება 20 ლარი.

**19 ქულა** გია ჯვარშეიშვილი (34,50 ლარი).

**18 ქულა:** ნოდარ გოქაძე (13,30).

**17 ქულა:** მერი მამრიკიშვილი (17 ლარი),

**15 ქულა:** მერაბ წიკლაური (7,50)

**14 ქულა:** დიანა საღრიშვილი (2 ლარი).

**13 ქულა:** სოფიკო დუნდუა (4,50), ვაჟა პაპუაშვილი (2,00)

**11 ქულა:** გია წერეთელი (10 ლარი), ნიკოლოზ წიქარიშვილი, ანდრო მჭედლიშვილი (6.70).

**9 ქულა**: ნუკრი მაისურაძე, გიორგი გვასალია (6.70). **8 ქულა**: ვახტანგ ნანავა (2,50 ლარი), თამრიკო დამენია, ბაჩანა შენგელია, ივანე ბერიანიძე (3,30 ლარი). **7 ქულა**: თემურ აფციაური. **6 ქულა:** მზია ღვინიაშვილი, ვლადიმერ ყაჯრიშვილი. **5 ქულა:** სოსო ნიკოლაშვილი, ნადეჟდა ელიზბარაშვილი. **4 ქულა:** ლევან ჩიგოგიძე. **3 ქულა**: კობა დალაქიშვილი, თიკო გაბუნია, დათო ჭილიტაშვილი. **2 ქულა**: მარინა ამაშუკელი, დავით ბასილია, ნათია ჩუბინიძე. **1 ქულა**: მარინა ბერიკაშვილი.

### სატურნირო კითხვები

#### პირველი კითხვა

ერთმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა ამ საგანს თვალების საღეჭი რეზინი უწოდა

**რა იგულისხმება?**

#### მეორე კითხვა

ერთხანს შუა საუკუნეების სომეხი პოეტის ნაჰაპეტ ქუჩაკის ლირიკით ვიყავით გატაცებული და ვთარგმნეთ კიდეც მისი რამოდენიმე ლექსი (თუმცა არსად დაგვიბეჭდავს); აი, ერთი ასეთი მინიატურა:

„შენც ყმაწვილი ხარ
და მეც ყმაწვილი, -
ჩვენ სიყვარული
არა გვწყინდება;
ჩემი სხეულიც
სარო მგონია,
შენი სარო რომ
ჩემთან წყვილდება;
ზეცას მაგონებს
შენი თვალები,
როცა წყენისგან
გაიწმინდება
და შენი მკერდი
თითქოს დილაა...

**რატომ ჰგავს პოეტის სატრფოს მკერდი დილას?**

#### მესამე კითხვა

ძველ საბერძნეთში შექმნილი იყო სპეციალური სახელმძღვანელო ჰეტერებისათვის (თავისუფალი ქცევის ქალებისათვის), რაც სამ ძირითად მომენტს ითვალისწინებდა: 1. სიყვარულის აღძვრის ხელოვნება. 2. სიყვარულის გაძლიერებისა და შენარჩუნების უნარი...

**... და მესამე?**

### საპრემიო კითხვები

1. ამ კაცს კუნძული კუბა მალაკის ნახევარკუნძული ეგონა; უფრო მეტიც - იგი ამტკიცებდა, რომ ანტილიის კუნძულებზე შავკანიანი მოსახლეობა ბინადრობს...

**რა იყო მისი მთავარი შეცდომა?**

2. დიდი ბრიტანეთის მოქალაქეს, ვინმე უილიამ მაკილროის ე.წ. „მიუნჰაუზენის სინდრომის“ უკიდურესი ფორმა სჭირს. 50 წლის განმავლობაში ჯანმრთელობის ეროვნულ სამსახურს აღნიშნული სინდრომის განკურნვა 2,5 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა; ამ ხნის განმავლობაში ავადმყოფმა 400 ოპერაცია გადაიტანა და 100 საავადმყოფოში იწვა.

**რა აკვიატებული ავადმყოფობაა ეს ე.წ. „მიუნჰაუზენის სინდრომი“?**




1. მაგარი კრისტალური ქანი (4). 2. ეგრეთწოდებული საერთაშორისო პოლიცია (4). 3. კათოლიკური ეკლესიის მსახური (4). 4. 50-60-იანი წლების მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელთა დიდი გუნდის თავდამსხმელი (9). 5. „ტიტული“, რომლის მიღებაც საბჭოთა კავშირში მართლაც მოწინავე მუშას ან მართლაც დაწინაურებული ინტელიგენტის პრივილეგია იყო (1). 6. სოფელი თბილისის მახლობლად, გარდაბნის რაიონის კუთვნილება (3). 7. ცნება, რომელიც ყველა ადამიანს აქვს, განსაკუთრებულად კი - ემოციურს (3). 8. ამ კაცის ნამდვილი სახელია ანდრეა დი მიკელე ჩონი... ანუ XV საუკუნის იტალიელი მოქანდაკე (8). 9. სპორტის სახეობა, რომელც განსაკუთრებით უყვარდა თურმე ბაირონს (5). 10. ქართეველი ჰიმნოგრაფი, მიქაელი (8). 11. ასე ვთქვათ, ფულის დამბანდებელი... ისე როგორ შეიძლება ვთქვათ (7)? 12. ქალაქი გერმანიაში (5). 13. მუსიკალურ-ვიზუალური ქმნილება (5). 14. პრაქტიკულად მხოლოდ რუსეთისათვის დამახასიათებელი გაშლილი სივრცე (4). 15. ლითონის კოჭა, რომელსაც აქვს ბერძნული ასო „პი“-ს ფორმის კვეთი (7). 16. 60-70-იანი წლების უძლიერესი ესტონელი კალათბურთელი, რომელიც ისტორიაში დარჩა კალათში ტყორცნის თავისებური მანერით (10). 17. ის, რაც ყოველი სხდომის ჩასატარებლად აუცილებელია, რათა ხალხმა დაგიჯეროს, რომ ეს სხდომა უფლებამოსილია ხალხისათვის იზრუნოს (4). 18. ჰაერის მასის დიდი სიჩქარით გადაადგილების სახესხვაობა (4). 19. როგორი შეიძლება იყო ზედაპირი, თუ ის სრულიად უხიფათოა ხელის გადამსმელისათვის? (3) 20. პარლამენტის ხელმძღვანელი ორგანოს გამომხატველი სიტყვა, ანუ სიტყვა, რომელიც ინგლისურ ენაში არ არსებობს და იგივეა, რომ ინგლისელებმა თქვან - „ლაპარაკ-ეიშენი“ (6). 21. მდინარე ზესტაფონის რაიონში, ძირულას მარცხენა შენაკადი (6). 22. სრული მარცხი, ანუ ჩვენებურად რომ ვთქვათ „ჩაფლავება“ (4). 23. აგრესიულად აქტიური და უგნური არსება (4). 24. თანემედროვე ბოსნიელი კინორეჟისორი (10). 25. „ზემოთა ჩასაცმელის“ სახესხაობა (4). 26. ვინ იყო დინასტიით დარიოსიც და ქსერქსეც? (6) 27. ლხინისა და დროსტარებისათვის გამიზნული ქართული ცნება (2). 28. დაავადება, რომელსაც ძალიან უხდება აბასთუმნის ჰაერი (3). 29. საკვებად გამოყენებადი ანუ როგორი თევზი? (4) 30. ზოგჯერ „სტრუქტურამდე“ სათქმელი წინსართი (5). 31. სიდიდე, რომლისთვისაც დამახასიათებელია მხოლოდ რიცხობრივი მნიშვნელობა (9). 32. ქართული ხალხური თამაში (3). 33. სამხრეთ ამერიკის „მატუშკა“ მდინარე (3). 34. კოტე მარჯანიშვილის მხატვრული ფილმი (7). 35. ტალახისა და სიბინძურის გამომხატველი ძველი სიტყვა (6). 36. თემა, რითაც ზოოლოგიის სასკოლო კურსი იწყება (6). 37. ყველა დროის უძლიერესი ერთ-ერთი ქართველი ფეხბურთელი (2). 38. დანაშაული ანუ რა? (8) 39. პატიმრის დასასჯელი სივრცე (5). 40. განსაზღვრება, რომელიც შეესაბამება გამუდმებულ ჭირსა და ვაგლახში მყოფ კაცს ან ქვეყანას (3).

**01-40 ქულა -** დამწყები კროსვორდისტი
**41-80 ქულა -** მეორეთანრიგოსანი
**81-120 ქულა -** პირველთანრიგოსანი
**121-160 ქულა -** ოსტატი
**161-190 ქულა -** დიდოსტატი
**191-199 ქულა -** ბრავო, მაესტრო!
**190 ქულა -** კროსვორდი თქვენ შეადგინეთ?

*პასუხები - მე-9 გვერდზე*

## *ფანტაზიის დიდოსტატები*

# ჰენრიხ შლიმანი



1841 წლის 28 ნოემბერს ჰოლანდიის ნაპირებთან ჩაიძირა გემი „დოროთეა“, რომელიც ვენესუელაში რეინის ღვინით დატვირთული მიეშურებოდა. იყო ბნელი, უმთვარო ღამე, ქროდა ძლიერი ქარი და მეზღვაურები ძლივს ახერხებდნენ ნავებში ჩასხდომას. ხომალდის იუნგას კი დააგვიანდა და გემბანზე რომ ამოვიდა, აღარც ნავი იყო სადმე და აღარც მეზღვაურები. უცებ მას უზარმაზარი ტალღა ეძგერა და წყლის ორომტრიალში გადაისროლა. იუნგა იმასღა გრძნობდა, რომ ზღვის სტიქიაში უნდა ჩანთქმულიყო, მაგრამ უცებ მას ვიღაც მეზღვაურის ძლიერი ხელი სწვდა და ნავზე აათრია...

ეს იუნგა ჰენრიხ შლიმანი გახლდათ და მეორე დილით ჰოლანდიის ნაპირზე იგი ნახევრად შიშველი და არაფრის მქონე გადავიდა. მის ერთადერთ შარვალთან და გაცრეცილ ქურთუკთან ერთად ბალტიის ზღვაში ჩაიძირა ის სარეკომენდაციო წერილიც, რითაც მას ვენესუელელ ღვინის ვაჭართან შეეძლებოდა მუშაობის დაწყება.

დედა ჰენრიხს ყრმობაშივე გარდაეცვალა, მამამისი კი მოსამსახურე ქალზე დაქორწინდა და შვილის მემკვიდრეობა მიითვისა... არცერთმა ნათესავმა არ ისურვა ობოლი ბიჭის მეურვეობა, განათლება და პროფესია არ ჰქონდა, ახლა სამოსიც დაკარგა და იდგა ასე უპატრონო და უსახლკარო ჰენრიხი ანსტერდამი ექვსგრადუსიან ყინვაში... სხვა რა უნდა ექნა? - მათხოვრობა დაიწყო, მაგრამ იმ ქალაქშიმოწყალებას ნაკლებად იჩენდნენ უპოვართადმი, თუმცა ლუკმაპურს მაინც შოულობდა. მცირეოდენი ფულიც მისცეს საქველმოქმედო ორგანიზაციაში, სადაც დაღუპული გემის მეზღვაურთათვის ფულს კრებდნენ მოსახლეობიდან. ამ ფულით ჰენრიხმა პატარა ოთახი დაიქირავა გაყინულ და ნახევრად დანგრეულ სახლში... მისი ერთადერთი ნუგეში საღამოობით წარსულის გახსენება იყო და განსაკუთრებით იმ სამუდამოდ შემორჩენილი ხილვისა, სადაც დედა ბუხართან იყო მიმჯდარი, მამა (ქალაქ ანკესჰაგენის ეკლესიის მღვდელი ერნსტ შლიმანი) კი სიგარას ეწეოდა და ახლადნაყიდ, ტყავგადაკრულ „ილიადას“ კითხულობდა. ამ წიგნში ჰერ შლიმანმა 45 მარკა გადაიხადა და სწორედ იმ საღამის რატომღაც შვილისადმი სითბო თუ რაღაც მისი მსგავსის გამომჟღავნება რომ მოისურვა, „ილიადას“ ორასი სტრიქონი ზეპირად უთხრა.

იქ, სადაც შლიმანმა ბავშვობა გაატარა, არაფერი ხდებოდა. ყველაფერი საინტერესო წარსულში იყო მომხდარი: ბორცვზე იდგა სასახლე, სადაც ოდესღაც რაინდი-ყაჩაღი ბრანდენკირლი ცხოვრობდა, რომელიც თურმე ადამიანებს ცოცხლად წვავდა უზარმაზარ ტაფაზე. იქვე, ანკესჰაგენის ეკლესიის ეზოში იდო ფილა, რომლის ქვეშაც, ლეგენდის თანახმად, ხსენებული რაინდის სასწაულმომქმედი ხელი ესვენა. მდინარესთან იყო ყორღანი, სადაც, როგორც ამბობდნენ, დაკრძალული იყო ჰუნების ბელადი, რომელმაც ათასი წლის წინ დაიპყრო ეს მხარე... ახლა კი ანკერსჰაგენში აღარ იყვნენ აღარც რაინდები და აღარც მომთაბარე ჰუნები...

სადაგ დღეებში მათი ოჯახი კარტოფილის წვნიანს და თევზს მიირთმევდა, შობაზე კი გოჭის დაკვლასაც ახერხებდნენ და გამუდმებით ლოცულობდნენ, ლოცულობდნენ და... არაფერზე ოცნებობდნენ. ჰენრიხის მომავალიც პრაქტიკულად გათვლილი იყო - იგი ვაჭარი ან მამასავით მღვდელი უნდა გამოსულიყო; არანაირი თავისუფალი არჩევანის საშუალება მას არ გააჩნდა.

პატარა შლიმანი კი უცნაური... მეოცნებე ბავშვი იყო; რაინდ ბრანდენკირლის ამბები მას უფრო მეტად აინტერესებდა, ვიდრე დილა-საღამოს იძულებითი წესით გასაზუთხი ლოცვები. კვირაობით, როგორც წესი, ქალაქის განაპირას მდებარე ტყისკენ მიიპარებოდა და იქ მწვანით დაფარული მდელოს გათხრას ცდილობდა, სადაც, ხალხის გადმოცემით, განისვენებდა მეფე, რომელმაც ბარბაროს მონღოლთა ტყვეობას დააღწია თავი და თან ცხენების რემაც წამოიყოლა. იმასაც ამბობდნენ, იმ მეფეს საფლავში ოქროს გვირგვინი და მოოქროვილი ფარ-ხმალი ჩააყოლესო...

მამა-შლიმანს კი თავისი ფანტაზიები აწუხებდა. მას უყვარდა კარგი კომპანია, ბანქო, თავისი განუყრელი ჩიბუხი, სოფლური არაყი და ჯანმაგარი სოფლელი გოგონები. ხალხი კი დიდი ხანია ჭორაობდა, რომ თექვსმეტი წლის მოსამსახურე გოგო ფიკენ ბენკე ძალზედ დიდ დროს ატარებს შლიმანების თივის ზვინებში, ანუ იქ, სადაც ზაფხულის ცხელ დღეებში ერნსტ შლიმანს უყვარდა დასვენება. ეს ამბები თვით ფრაუ ლუიზა შლიმანის ყურამდეც იყო მისული და როცა იგი გარდაიცვალა და მის პანაშვიდზე მოსამსახურე გოგო წითელი ატლასით გაწყობილი კაბით გამოცხადდა, ხალხში მითქმა-მოთქმა აგორდა - ლუიზა შლიმანი ქმარმა მოწამლაო. დაბეზღებების ნიაღვარიც მალე წავიდა, სადაც ჯერ არს და მოკლე ხანში პასტორი შლიმანი ეკლესიიდან გააძევეს; მართალია, მას მკვლელობა არ დაუმტკიცდა, მაგრამ სამაგიეროდ ეკლესიის ქონების გაფლანგვაში ამხილეს. გაიქცა ერნსტ შლიმანი, თან 20 წლით უმცროსი ფიკენიც გაიყოლა, დედისაგან ბავშვებისათვის დატოვებული ფული მიითვისა და ამ ფულით სადღაც პატარა ტრაქტირი გახსნა... ჰენრიხი კი, ცხადია, არც მამას უნდოდა და არც მის გომბიო ცოლს და იგი ქალაქ ფიუერსტენბერგში ვიღაც წვრილვაჭართან მოჯამაგირედ დააყენეს. იქ ჰენრიხმა 5 წელი გაატარა, სადაც მან შაქრის დაფასოება და სასწორის ხმარება ისწავლა, მას შეეძლო თევზიც შეეფუთა და ხორციც დაეჭრა და, რაც მთავარია, გამუდმებული ღიმილი ჰქონოდა სახეზე აფარებული ჭირვეული კლიენტებისათვის. როცა მას 18 წელი შეუსრულდა, ხსენებული სარეკომენდაციო წერილით იგი ვენესუელაში გაუშვეს, მაგრამ ღმერთმა სხვაგვარად ინება და ამსტერდამში ამოაყოფინა თავი, სადაც სიცივისა და სიკვდილის გარდა არაფერს უქადდა კარსმომდგარი ზამთარი.

სხვა გზა აღარ ჰქონდა და იმედად ჯარში სამსახური დაისახა, მაგრამ ექიმმა მის ფილტვებში რაღაც ჭლექისმაგვარი დალანდა და იქიდანაც უარით გამოისტუმრეს. ჰენრიხმა ერთხელაც სცადა, პირდაპირ შტაბის ოფიცრებს მიადგა და დიდხანს და ამაოდ უმრკიცებდა, რომ ჭლექი კარგა ხნის გადატანილი ჰქონდა, რომ ყინულოვან ზღვაში მთელი ღამის გატარებამ ყველა ავადმყოფობა ჩაუცხრო, მაგრამ ვერაფერს მიაღწია... ოფიცრებმა მას ხელში ერთი გულდენი ჩასჩარეს და კარებამდე თავაზიანად მიაცილეს...

კვლავ წანწალი და მათხოვრობა ამსტერდამის გაყინულ ქუჩებში და კვლავ ზეპირი კითხვა „ილიადის“ სტრიქონებისა, რაც მის მეხსიერებას ბავშვობიდან შემორჩა. დღითიდღე სულ უკეთ ახსენდებოდა მამისაგან მოსმენილი ეპიზოდი „ილიადისა“ და სიზმარში სულ იმ ზღაპრულ სამყაროს ხედავდა, სადაც მას ელენე მშვენიერი, ჰექტორი თუ აქილევსი ელოდნე და ეს ყველაფერი მაღალკედლებიანი ტროას, ანუ იმ ქალქის ირგვლივ ილანდებოდა, რომელიც ყრომობიდანვე იქცა ჰენრიხის ოცნებისა და ფანტაზიის წყაროდ. ამ სიზმრებით იძინებდა და ამ სიზმრებით იღვიძებდა და... ბოლო დროს რატომღაც იმედი გაუჩნდა - ბედი მეც გამიღიმებსო და არც შემცდარა... ერთ დილას სახლის პატრონმა გააღვიძა და წერილი და მცირეოდენი ფული გადასცა, რომელიც ფოსტით დედამისის ერთ ძველ მეგობარს გამოეგზავნა. წერილს სარეკომენდაციო ხასიათი ჰქონდა და ამსტერდამის ერთი ფირმის ხელმძღვანელისადმი იყო მიმართული. ჰენრიხს გაუჩნდა შანსი და მან ეს ხელიდან არ გაუშვა – ორი დღის შემდეგ იგი მთელ ამსტერდამში სავაჭრო სახლ “კვიმის” კორესპონდენციებს დაატარებდა.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ერთი სიტყვის კროსვორდი




**თარაზულად**: 1. ხაჭაპურის სახესხვაობა. 8. პატარა გოგონების დამამშვენებელი ქსოვილის ნაჭერი. 10. პარკოსანი მცენარე. 11. XX საუკუნის უდიდესი ქართველი მწერალი. 14. უფრო ხშირად ტექნიკური დანიშნულების სქელი ქაღალდი. 15. რუსი (ალბათ, ებრაელი) მეზღაპრე კინორეჟისორი. 16. პარფიუმერული წარმოების მაგნატი, მავანი კრისტიანი... 19. „სასოფლო ინჟინერთათვის“ შექმნილი წინსართი. 20. დაავადება, რომელიც თურმე ოდრი ჰეპბერნსაც სჭირდა (წაიკითხეთ მე-13 გვერდი?). 21. ფრანგი მწერალი (.....) ბაზენი. 22. ჭრილობაზე დასადები რამ. 24. შუა აზიის მთავარი



სიმდიდრე. 25. (კიდევ ერთი) პარკოსანი მცენარე. 26. რა არსებაა მავანი დონალდი? 27. გეოგრაფთათვის კარგად ნაცნობი ასო ბერძნული ანბანისა. 28. ბულგარეთის ფული. 29. ქალაქი ლიტვაში. 30. მეფე გიორგი I-ის დეიდაშვილი.

**შვეულად**: 1. (ბატონი) ჯაფარიძე, შესანიშნავი მხატვარი. 2. როგორი ადილია სუფრის თავში. 3. შაჰი, რომლის სახელი ერთდროს საბჭოურ მონეტას ერქვა. 4. დიდი ქრისტიანული მონასტერი. 5. თბილისის მეტროპოლიტენის სადგური. 6. მხედველობითი ორგანოს ნაწილი. 9. და ის სიტყვა, რისთვისაც ეს კროსვორდი შეიქმნა, ანუ - როგორ ზის ეს ქალბატონი? 12. იმედგაცრუებული ანუ? 13. ჩვენი ოპერისა და კინოს შესანიშნავი მსახიობი. 17. სახელმწიფო ვესტინდოეთში. 18. ჩვენი ესტრადის მომღერალი. 23. ინგლისელ-ამერიკელი პოეტი, ტომას სტერნზ.... 25. ცნობილი თანამედროვე ჩოგბურთელი ქალი.

**თარაზულად:** 1. როგორი შეიძლება იყოს ყოველივე მედიდური, კუშტი და ამპარტავანი? 4. ცნობილი ფრაზის – ციგელ, ციგელ აი-ლუ-ლუს – წარმომთქმელი კინოპერსონაჟის როლის შემსრულებელი. 9. როგორი შეიძლება იყოს, ვთქვათ, მშვენიერ ქალთან ერთად გატარებული ღამე ჰავაის კუნძულებზე? 17. სტამბის მუშაკი, რომელიც კომპიუტერიზაციამდე იგივე საქმიანობას ასრულებდა, რასაც ახლა კომპიუტერზე დამკადონებელი. 18. დარტყმებით დროის მცირე მონაკვეთების აღმნიშვნელი ქანქარიანი ხელსაწყო. 19. **ფრთიანი ფრაზა**: ერთი წიგნიდან გადაწერა პლაგიატია, ორი წიგნიდან გადაწერა - კომპილაცია... რა მიიღება სამი წიგნიდან გადაწერის შემდეგ? 22. ახ. წელთაღრიცხვის I საუკუნის ძველი ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი. 23. ოთარ ჩხეიძის რომანი. 24. აწ უკვე აღარარსებული მსუბუქი ავტომიბილების მწარმოებელი ამერიკული კომპანია. 28. ჩარლზ ჩაპლინის ერთ-ერთი გახმაურებული ფილმის სათაურში დაფიქსირებული სიტყვა. 29. ჯოზეფ ჯონ ტომსონის მიერ აღმოჩენილი უმცირესი ნაწილაკი. 30. ჯეიმს კუკის ხომალდი. 34. (თუნდაც) სატრფიალო პოეზია. 35. კორეული წარმოების მსუბუქი ავტომობილი. 36. ქალაქი აშშ-ში, პენსილვანიის შტატში. 37. ცნობილი ლატვიელი ბალერონი. 42. კაბის ქვეშ დატანებული ფოლადის მავთულებიანი ქალის ქვედა კაბის სახელი. 43. ცნობილი რუსი მსახიობი მამაკაცი ვახტანგოვის სახელობის თეატრიდან. 44. **იხილეთ ფოტო** და გაიხსენეთ ამ მსახიობი ქალბატონის გვარი. 45. რა ჰქვია სასწორის თითოეულ თეფშს? 50. ბავშვობაში მე (ამ კროსვორდის ავტორს) ყოველთვის მიკვირდა რატომ იყო ის „იქ" ჭირთან ერთად.... ჰოდა, რა იყო ჭირთან ერთად იქ? 51. კაზაკთა სოფელი. 52. ვის ელოდებოდა ივანე კოტორაშვილი? 53. აკაკი წერეთლის ლექსი. 57. გონებაჩლუნგის აღსანიშნავად ხმარებული სიტყვა. 58. აგატა კრისტის ნამდვილი სახელი და გვარი ასე გამოიყურება– აგატა მერი (.....რა?) მილლერი. 59. ბუნებრივი ძაბრისებური ჩაღრმავება ვულკანის ყელთან. 60. მნათი სტრიქონები ტელევიზორის ეკრანზე. 65. ბრბოში გზის გასაკაფი საშუალება. 66. აშშ-ს შტატი. 67. პაბლო პიკასოს ყველაზე ცნობილი ნახატი. 68. ლონდონის „ჩელსის" ფრანგი ლეგიონერი. 73. საგარმატჰას მეორე, უფრო გავრცელებული სახელი. 74. მეტიჩარა გოგონების დასახასიათებელი სიტყვა. 75. მატერიალური თუ სულერი ზარალის ანაზღაურება, ანუ რა? 79. სამცხის მმართველთა საგვარეულო წოდებულება. 80. რა გვარისაა მაქსიმ გორკისეული კლიმი? 81. აქ ჩაწერეთ სახელი ქალისა, რომლის ჩვილის საზარელი ისტორიის შესახებაც რომან პოლანსკიმ მოუთხრო მთელ მსოფლიოს. 82. რა ერქვათ კაზანოვას და პუჩინის? 87. როგორია განმარტოებული, ანაქორეტი ადამიანი? 88. ქვეყანა, სადაც დაიბადნენ უილიამ თეკერეი და რადიარდ კიპლინგი. 89. რაიმეს ძირეული შეცვლა. 90. ძველი საბერძნეთის ისტორიული ნახევარკუნძული. 91. რა ერქვა ვენეციის და გენუის რესპუბლიკების მმართველს მე-18 საუკუნემდე? 96. ქალაქი აშშ-ში, შტატ ნიუ-იორკის ადმინისტრაციული ცენტრი. 97. ოფიცრის ერთგვარი სამხრე. 98. ქალაქი დასავლეთ პოლონეთში. 99. **ანეკდოტი:** „მიდის მიხო მატარებლის რელსებზე და დაინახავს გასრესილ თაგვს, დახედავს და ჩაილაპარაკებს – გამომივიდა ესეც...." რა გვარი დაასახელა ამის მერე მიხომ? 103. აფრიკის სახელმწიფოს, გვინეის დედაქალაქი. 104. რუსი მწერალი, ავტორი „**Гранатовый браслет**"-ისა. 105. არსებობდა ერთ დროს ასეთი ტელევიზიაც თბილისში.. სახელი გაიხსენეთ. 110. რუსი პოეტი, ედგარ პოს პოეზიის მთარგმნელი რუსულ ენაზე. 111. ნერვული უჯრედი მისგან გამომავალი ყველა დანამატითურთ. 112. ენტონი ბერჯესს აქვს დაწერილი ნაწარმოები „მექანიკური ფორთოხალი".. ვინ შექმნა მისი ეკრანიზაცია (გვარი)? 113. მთავარი პერსონაჟი ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრისა". 118. როგორი კულინარის 1001-ე რეცეპტი არსებობს ქართულ კინოში? 119. ფრანგი მსახიობი ქალი, თუნდაც ფილმიდან „როკო და მისი ძმები". 120. რა ეწოდება ზოგადად ყველაზე პრესტიჟული პრემიის მქონე ადამიანს? 124. ხე - სიმბოლო სიმაღლისა. 125. მთათა სისტემა რუსეთში. 126. პუშკინისეული „**Пиковая дама**"-ს მთავარი პერსონაჟი. 127. ამ ფრანგულ ნახევარკუნძულს კელტები არმორიკას უწოდებდნენ... აქ მისი საზოგადო ფრანგული სახელი ჩაწერეთ. 128. მარცვლეულის გასალეწი ადგილი. 133. მწერლის ყველაზე მორჩილი ინვენტარი... (ოღონდ - კარგი მწერლის). 134. როგორია ხოლმე, ძირითადად, არსებული ნორმებისა თუ ტრადიციების დამრღვევი ადამიანი საზოგადოებისათვის? 135. ქალაქი ნიდერლანდში. 136. ქალაქი შოტლანდიაში. 140. სოლომონის კუნძულების ერთ-ერთი კუნძულის ნათლია ფრანგი ზღვაოსანი, ლუი ანტუან დე.... 141. მბრუნავი სახვრეტი ხელსაწყო. 142. შექსპირისეული „ვენეციელი ვაჭრის" მთავარი პერსონაჟი. 147. ჩრდ. ირლანდიის დედაქალაქი. 148. ეს ყმაწვილი ნილოსში დაიხრჩო, რის შემდეგაც იგი ღმერთად აღიარა რომის იმპერატორმა, ადრიანემ... რა ერქვა მას? 149. პროვინცია კანადის ცენტრალურ ნაწილში. 150. ცოცხალი ორგანიზმის გამრავლების საშუალება. 155. რა ჰქვია სპორტლოტოში დანადგარს სადაც ბურთებია მოთავსებული? 156. რა შეიძლება ეწოდოს სხვაგვარად ბალზაკის „ადამიანურ კომედიას"? 157. დაბალი ბუფეტი სასადილო ჭურჭლისთვის. 161. ფრანგი ავიაკონსტრუქტორი და მფრინავი, რომელმაც პირველმა გადაუფრინა ლა-მანშის სრუტეს. 162. შემმოწმებელი, ანუ ვინ? 163. ვინ იყო კლდიაშვილისეული სოლომან მორბელაძე? 164. ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირის" მთავარი პერსონაჟი ქალის სახელი. 165. გაერთიანების სახესხვაობა. 166. მკურნალობის მეთოდი შესუნთქვის გზით. 167. აუგუსტო სესარ სანდინოს სამშობლო. 168. გულთან დაკავშირებული ასეთი დაავადებაც არსებობს, ისე კი ორძთაბრძოლის სინონიმია.




**შვეულად:** 1. დაასრულეთ ერთი მახვილგონიერი აფორისტის აფორიზმი: „იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ შეგჭამეს, თქვენ ყოველთვის გაქვთ ორი...(რა?)". 2. ელექტროძრავის შემადგენელი ნაწილი. 3. საქართველოსთან დაძმობილებული ქალაქი გერმანიაში. 5. მხოლოდ სახელით მოსახსენიებელი ქართველი პოეტი. 6. სასტუმრო თბილისში. 7. თბილისის ღირსშესანიშნაობა. 8. იაპონური ვალუტა. 10. ინგლისელი ისტორიკოსი და სოციოლოგი, არნოლდ ჯოზეფ... (1889-1975). 11. ცეცხლსასროლი იარაღის სახესხვაობა. 12. დრამატული სპექტაკლის მოქმედებებს შორის წარმოდგენილი სცენიური ქმნილება. 13. ცნობილი სასტუმრო რომში. 14. მცირე ზომის კლავესინი, კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი. 15. სინტოიზმის უმთავრესი ღვთაება. 16. თარგმნეთ იტალიურად „ცუდი ჰაერი" და ჩაწერეთ. 20. ნიგვზითა და ძმრით შეზავებული მოხარშული კომბოსტო. 21. გფრ-ს პირველი კანცლერი. 25. ძლიერი მომწამვლავი საშუალება. 26. ამერიციუმის, კიურიუმის, აინშტაინიუმის, ფერმიუმის, მენდელეევიუმის და ნობელიუმის ზოგადი სახელი. 27. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა ამ აფორიზმში – „როდესაც კაცს ცოლად მოჰყავს ქალი – ეს არის ყველაზე დიდი ........(..რა?) რაც კი შეიძლება მისცეს მან ამ ქალს და რომელიც როგორც წესი უკანასკნელია ხოლმე". 31. ბიბლიაში დაფიქსირებული ყველაზე დიდი მთათაგანი. 32. რემბრანდტის ქმნილება. 33. როგორი ადამიანია ჭირისუფალი? 38. პერსონაჟი ქართული ფილმისა „სანამ წვიმა გადაიღებს". 39. რა ჰქვია ციური სხეულების კატასტროფულად სწრაფ შეკუმშვას, რომლის შემდეგაც ეს ციური სხეული ხდება შავი ხვრელი? 40. მეგრული ვოკალური ქმნილება. 41. ყველაზე პირველად აღმოჩენილი მცირე პლანეტის სეხნია – ქიმიური ელემენტი. 46. რა ინგლისური სიტყვა აწერია თბილისში ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს? (ინგლისური სიტყვა ჩაწერეთ ქართული ასოებით). 47. სამხ. ამერიკაში გავრცელებული ძვირფასბეწვიანი მტაცებელი ძუძუმწოვარა კატისებრთა ოჯახიდან. 48. პოპულარული პასტა კბილისა. 49. სტამბულის ცნობილი უბანი. 54. ვინ არიან ყველაზე სწრაფები მსოფლიოში? 55. ქალაქი რუსეთში, საოლქო ცენტრი. 56. კარლსონის მშობლიური ქალაქი. 61. ალბერტ შვეიცერის განმარტებით – „ბედნიერება არის ცუდი მეხსიერება და კარგი ....(...რა?)". 62. საზოგადოებაში გამოუსვლელის დამახასიათებელი სიტყვა თბილისურ ჟარგონზე. 63. პატარა ქვა. 64. ქალის „დასამზადებელი" ნედლეული. 69. ტატიანა ლარინაზე შეყვარებული კაცის გვარი. 70. საგანგებოდ გაკეთებული თხრილი. 71. მუსიკალური ნაწარმოების სახესხვაობა. 72. სახელწოდება რელიგიისა, რომელიც მიმდევრებმა უარყვეს და ზღაპრების სიაში ჩაწერეს. 76. ცოდნის გადაცემის სიმბოლო. 77. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა ცნობილ სტროფებში:

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებრივი ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე ............(რა?)"

78. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში. 83. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა როკფელერის ცნობილ ფრაზაში – „მეგობრობაზე დაფუძნებულ ბიზნესს სჯობია ბიზნესზე დაფუძნებული .......(რა?)". 84. თანამედროვე ამერიკელი მილიონერი და პოლიტიკური მოღვაწე, უკანასკნელი 3 საპრეზიდენტო არჩევნების მონაწილე. 85. ქალაქი რუსეთში, მოსკოვის ოლქში. 86. წყნარი ოკეანის კუნძულების საერთო სახელი. 92. ცნობილი ქართველი რუსთველოლოგი, ბატონი პავლე. 93. როგორია ხოლმე ინფორმაცია რომლის სამართლიანობაშიც ეჭვი არ შეაქვთ? 94. შინაური ფრინველი. 95. XIX ს ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. 100. მწყემსური იდილიური ცხოვრების ამსახველი ხელოვნების ჟანრი. 101. ქიმიური ელემენტი, ტუტე-მიწათა ლითონი. 102. რა ჰქვია შერლოკ ჰოლმსის ძმას, კლუბ „გედეონის" თავმჯდომარეს? 106. ქალაქი საფრანგეთში, ზამთრის ერთ-ერთი ოლიმპიადის დედაქალაქი. 107. ქალაქი, სადაც კარლ ლუისს აშშ-ს დროშა ეჭირა ხელში 1988 წელს. 108. რა ჰქვია მტრედის ნაშიერს? 109. მონათა შრომაზე დამყარებული მეურნეობის სახელი წარსულში. 114. მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, ელენა. 115. როგორია ელექტრული ველის თანამდევი ველი? 116. უკანასკნელ წლებში გამოჩენილი ვირუსის სახელწოდება, რომელმაც 26 აპრილს მუსრი გაავლო დედამიწის კომპიუტერების დიდ ნაწილს. 117. 30-იანი წლების საბჭოეთში სტალინის მუქარის ადრესატი, კამენევის კოლეგა. 121. რა გამოიჩინა ცოტნე დადიანმა კოხტას თავის შეთქმულების დროს? 122. სიგრძის საზომი საერთაშორისო ერთეული. 123. რა ატარებს ბაბელ-მანდების სახელს? 129. ერთგვარი სამკურნალო დაწესებულება. 130. ნიმუში, რომლის მიხედვითაც ამზადებენ ერთნაირ ნაკეთობებს. 131. ამერიკელი ეთნოგრაფი და მწერალი ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ბელადის დონ ხუანის შესახებ შექმნილი ფილოსოფიური ნაწარმოებების ავტორი. 132. მე-18-19 სს მცხოვრები რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ალექსანდრე I-ის დიდი ნდობით აღჭურვილი პირი. 137. მინერალური მარილ-ნახშირმჟავა წყალი, რომელსაც სახელი ერთმა გერმანულმა სოფელმა მისცა. 138. უჯრედის შემსწავლელი მეცნიერება. 139. რა მდებარეობს თავისუფლების მოედანზე? 143. 80-იანი წლების იტალიელი ფეხბურთელი, მსოფლიოს ჩემპიონი. 144. კომისარი მეგრეს ლიტერატურული „მამა". 145. კოღო ანოფელესის შთამომავლობის მუსრის გამვლები თევზის სახეობა. 146. ფიცარი, რომელზედაც დამაგრებულია ქაღალდი ადგილის გეგმის დასახაზად. 151. ქალაქი ცენტრალურ იტალიაში. 152. დიდი ქარიშხალი. 153. მიწისზედა გადასასვლელების ნათლია ცხოველთა სამყაროდან. 154. ტიციან ტაბიძის საყვარელი ყვავილი. 158. იგივეა, რაც იხტიბარი. 159. იტალიის მშვენება-ვულკანი. 160. რა ჰქვია ნაზიბროლას აფხაზ ქმარს?



# საკროსვორდო ენციკლოპედია

**ბაადე** ვალტერ - XX ს გერმან. ასტრონომი.
**ბაადე** ფრიც - XX ს გერმან. ეკონომისტი.
**ბაადერი** ფრანც ქსავერ ფონ - XVIII-XIX სს გერმან. ფილოსოფოსი
**ბაადური** - ნუგზარ არაგვის ერისთავის ძე (XVII ს)
**ბააზოვი** გერცელ - XX ს ქართვ. მწერალი-დრამატურგი.
**ბაალარხვა** - სოფელი გუდაუთის რ
**ბაალბექი** - (ბერძნ. ჰელიოპოლოსი) ქალაქი ლიბანში.
**ბაალი** - ყველაზე მეტად გავრცელებული საერთო სემიტური ღვთაება.
**ბაამიანი** - XVI ს ქართ. ლიტ.-ის ანონიმური ძეგლი.
**ბაასი** - გაბმული ლაპარაკი, საუბარი.
**ბაასი** - (არაბ. აღორძინება) არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გავრცელებული სახელი.
**ბაბა** - პური ბავშვის ენაზე.
**ბაბა** - მამა დას. ქართულ ზოგ დიალექტში.
**ბაბა** კორნელიუ - XX ს რუმინელი ფერმწერი-გრაფიკოსი.
**ბაბა** ხომი ჯიჰანგირ - XX ს ინდოელი ფიზიკოსი.
**ბაბა** - ეგეოსის ზღვისპირა კონცხი თურქეთში.
**ბაბადაღი** - აზერბაიჯანის კავკასიონზე მდებარე მთა (3629 მ).
**ბაბადერვიში** - მრავალფენიანი ნამოსახლარი ყაზახის რ-ნში (აზერბაიჯანი).
**ბაბაევსკი** სიმონ - XX ს რუსი მწერალი.
**ბაბათაღი** - ქედი შუა აზიაში, უზბეკეთსა და ტაჯიკეთს შორის.
**ბაბა თაჰერ ურიანი** - XI ს ირანელი პოეტი-მისტიკოსი.
**ბაბაკარი** - ქედი მარნეულის რ
**ბაბანგიდა** ტიჯანი - ნიგერიელი ფეხბურთელი.
**ბაბანეური** - სოფელი ახმეტის რ
**ბაბანეურისფშა** - მდინარე ახმეტის რ (ალაზნის მარცხ. შენაკადი).
**ბაბანი** - სიცივის აყოლის ხმა (საბა). თრთოლა, კანკალი, ძაგაგი.
**ბაბანიკი** - წეროსაგან წეროს მოწოდება (საბა).
**ბაბანოვა** მარიამ - რუსი მსახიობი (მაიაკოვსკის სახ. თეატრი, მოსკოვი).
**ბაბარი** - შუმერთა მზის ღვთაება.
**ბაბაყული** - იგივეა, რაც ბაიყუში.
**ბაბაჭუა** - იგივეა, რაც ობობა.
**ბაბაჯანიანი** არნო - სომეხი კომპოზიტორი და პიანისტი.
**ბაბეზია** (პიროპლაზმა) - უმარტივეს ცხოველთა გვარი, სარკოდინების კლასისა.
**ბაბეზიოზი** - ცხოველთა დაავადება, რასაც იწვევს სისხლის პარაზიტი ბაბეზია.
**ბაბელი** ისააკ - XX ს რუსი მწერალი.
**ბაბენბერგები** - ფრანკი გრაფების საგვარეულო დინასტია (X-XIII სს.)
**ბაბეფი** გრაკხ (ფრანსუა ნოელი) - XVIII ს ფრანგი რევოლუციონერი, უტოპიური კომუნიზმის წარმომადგენელი.
**ბაბექი** (ფაფაქი) - IX ს სახალხო აჯანყების ბელადი აზერბაიჯანში.
**ბაბი** - XIX ს ბაბიდების სექტის დამაარსებელი, შირაზელი ვაჭარი.
**ბაბი** - სოფელი ხარაგაულის რ
**ბაბია** - დასავლეთი ბესკიდების (კარპატები) უმაღლესი მწვერვალი.
**ბაბიანძინი** - მდინარე დის ზემო დინების სახელი (ჩინეთი).
**ბაბიზმი** - ბაბიდების სექტის რელიგ. მოძღვრება.
**ბაბი-იარი** - დიდი ხევი კიევის ჩრდ. ნაწილში. ებრაელთა მასობრივი დახვრეტის ადგილი.
**ბაბილა** - საქ. კატალიკოსი VII ს.
**ბაბილი** - სოფელი ლენტეხის რ
**ბაბილო** - მაღალი ვენახი (საბა). იგივეა, რაც უსურვაზი.
**ბაბილონეთი** - ძვ. სახელმწიფო შუამდინარეთის სამხრეთში (ძვ.წ. II ათასწლ. - ძვ. წ. 539 წ.)
**ბაბილონი** (ბერძნ. „ღმერთის კარიბჭე“) - უძვ. ქალაქი შუამდინარეთში, ევფრატის სანაპიროზე.
**ბაბინსკი** ჟოზეფ - XIX-XX სს ფრანგი ექიმი-ნევროპათოლოგი.
**ბაბირუსა** - ძუძუმწოვარა ცხოველი ღორისებრთა ოჯახისა (ინდონეზია).
**ბაბიტი** - კალის ან ტყვიის ფუძეზე დამზადებული ანტიფრიქციული შენადნობი.
**ბაბიჩი** მიხაი - XX ს უნგრელი მწერალი.
**ბაბლი** (ჩვეულებრ. იხმარება მრ. რიცხ. ბაბლები) - საბნის თავსა და ბოლოში მიკერებული ნაჭრები.
**ბაბლუანი** თეიმურაზ - ქართველი კინორეჟისორი.
**ბაბო** - ბებია, დიდედა.
**ბაბოა** - მონათესავე ტომთა ჯგუფი ზაირში.
**ბაბოთი** - სოფელი ვანის რ
**ბაბოლი** - ქალაქი ჩრდ. ირანში.
**ბაბოჩკინი** ბორის - რუსი მსახიობი (მოსკოვის მცირე თეატრი); ჩაპაევის როლის შემსრულებელი კინოში.
**ბაბრი** - 1. სხვათა ენაა, ქართულად ჯიქი ჰქვია (საბა). 2. დიდი დათვი.
**ბაბრიოსი** - II ს ძვ. ბერძენი პოეტი-მეიგავე.
**ბაბუა** - იგივე პაპა.
**ბაბუაწვერა** - მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა.
**ბაბუგან-იაილა** - ყირიმის მთების უმაღლესი მასივი.
**ბაბუვისტები** - ბაბეფის შეხედულებათა მიმდევრები.
**ბაბუინი** მაიმუნი ანთრისებრთა ოჯახისა.
**ბაბური** ზაჰირედინ - XVI ს ინდოეთის დიდ მოგოლთა სახელმწიფოს დამაარსებელი.
**ბაბუშარა** - სოფელი გულრიფშის რ
**ბაბუშკინი** ივანე - პროფესიონალი რევოლუციონერი, ბოლშევიკი.
**ბაბღანი** - ფრინველია მოწყენილი, წყლის უსმელი (საბა)
**ბაბხისხევი** - მდინარე თიანეთის რ, ივრის მარცხ. შენაკადი.
**ბაგა** - საკვების ჩასაყრელი დაბმული საქონლისათვის.
**ბაგა** - ახალი ვენახი.
**ბაგა** - სოფელი დუშეთის რ
**ბაგაბუგი** - გულის ძლიერი აჩქარებული ცემა.
**ბაგანდა** - სამხრ.-დას. უგანდაში მცხ. ხალხი.
**ბაგან-ჯაია** (ბატერუორთი) - ქალაქი მალაიზიაში.
**ბაგაჟი** - მგზავრის ბარგი.
**ბაგაჟიაშთა** - სოფელი გულრიფშის რ
**ბაგატა** - სოფელი ცხინვალის რ
**ბაგატელი** - პატარა მუსიკალური პიესა.
**ბაგაუდები** - გალიასა და ჩრდ. ესპანეთში მე-3-5 სს რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებულთა საერთო სახელი.
**ბაგე** - იგივე ტუჩი.
**ბაგები** - თბილისის უბანი.
**ბაგები** - ღია ვარსკვლავთა გროვა კირჩხიბის თანავარსკვლავედში.
**ბაგებისღელე** - მდინარე ახალციხის რ
**ბაგერი** - საბადოდან ტორფის გამოსაღები ექსკავატორი.
**ბაგეტი** - თამასა, რომლისაგანაც ამზადებენ სურათის ჩარჩოებსა და ოთახის კარნიზებს.
**ბაგვალალები** - დას. დაღესტანში მცხ. ხალხი.
**ბაგვდანარი** - სოფელი მესტიის რ
**ბაგვი** - მატყლის სქელი წინდა თოვლში სასიარულოდ.
**ბაგესენი** იენს - XVIII - XIX სს დანიელი მწერალი.
**ბაგი** - ერთგვარი სპორტული ავტომობილი.
**ბაგიათა** - სოფელი ჯავის რ
**ბაგინეთი** - სოფელი ვანის რ
**ბაგიო** - ქალაქი ფილიპინებზე.
**ბაგირი** - მეტად მსხვილი თოკი.
**ბაგირმი** - ჩადის რესპუბლიკაში მცხ. ხალხი.
**ბაგლუნგი** - ქალაქი ნეპალში.
**ბაგრამი** - ქუშანთა ქალაქ ქაფისის ნანგრევები ავღანეთში.
**ბაგრამიანი** ივანე - საბჭოთა კავშირის მარშალი, სსრკ გმირი.

(102, სულ 4424)

# ფანტაზიორი

რუბრიკას უძღვება **ვახტანგ ელერდაშვილი**

***კითხვა №1*** აღმოსავლეთში თაობიდან თაობას გადაეცემოდა ის ამბავი, რომ სამარყანდში თემურ ლენგის სამარის გახსნა მის სულს გააღვიძებდა და ეს დიდ ომში გადაიზრდებოდა... ერთხელ ეს საფლავი მაინც გახსნეს..

**რომელ წელს (6 ქულა)?**

***კითხვა №2*** ყველასათვის კარგად ცნობილი და საყვარელი ხელოვნების ერთი დარგის სახელი ლათინურად ერთ მათემატიკურ ოპერაციას ნიშნავს...

**რომელს (9 ქულა)?**

***კითხვა №3*** ძველბერძნები ამბობდნენ, რომ ქალაქს არ სჭირდება სქელი კედლებილი, თუ იქ მრავალი „მათგანი“ ცხოვრობს, რომლებიც არც უცხოელები არიან და არც მონები.

**ვინ იგულისხმებოდა (12 ქულა)?**

***კითხვა №4*** ძვ.წ. VI საუკუნის ბერძენი პოეტი პინდარე წერდა, რომ „როგორც წყალია ელემენტთა შორის უდიადესი, როგორც ოქროა მოკვდავთათვის უძვირფასესი ლითონი, როგორც მზეა ყველაზე დიდი ენერგიის მომცემი, ასევე არ არსებობს იმაზე მეტი დიდება, რაც დაკავშირებულია....

**რასთან (11 ქულა)?**

***კითხვა №5*** წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ვინმე მეგობართან ფარიკაობთ და მან თქვენთან მაცდუნებელი მოძრაობებით დააპირა გამარჯვება.

**რომელი იტალიური სიტყვით გამოხატავდით მის ამგვარ საქციელს (10 ქულა)?**

***კითხვა №6*** XX საუკუნის 20-იან წლებში მსოფლიო პრესა მოიარა სენსაციამ იმის შესახებ, რომ ერთი არგენტინელი ექიმი ადამიანებისა და თევზების შეჯვარებას აპირებდა... მოგვიანებით დაიწერა ფანტასტიური რომანი, შემდეგ შეიქმნა პოპულარული ფილმი..

**რომელი (7 ქულა)?**

***კითხვა №7*** ამბობენ, რომ ძველბერძნული ქალაქების ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება ე.წ. „მოლაპარაკე ინსტრუმენტებზე“ იყო დამოკიდებული...

**რა ნიშნავს ეს „მოლაპარაკე ინსტრუმენტი (12 ქულა)?**

***კითხვა №8*** ადოლფ საქსმა და შარლ პატემ თავიანთი გამოგონებების სახელის მეორე ნაწილად ერთი ბერძნული სიტყვა გამოიყენეს...

**რომელი (10 ქულა)?**

***კითხვა №9*** ეს ლათინური სიტყვა, რაც „მუსიკოსთა და მომღერალთა შეჯიბრს“ ნიშნავს ქართულ ენაში იტალიურის, გერმანულისა და რუსულის გამოვლით მოხვდა...

**რა სიტყვაა ეს (5 ქულა)?**

***კითხვა №10*** ძველ ბერძნებს ჰქონდათ მუსიკალური ინსტრუმენტი პანდოლა; ეს სახელი როგორღაც უკრაინაში არსებულ ინსტრუმენტსაც დაერქვა, ანუ ბანდურას... თუმცა მანამდე იტალიელებმა გამოიყენეს ეს სიტყვა, უფრო სწორად მისი კნინობითი ფორმა და თავის ინსტრუმენტს დაარქვეს...

**რომელს (9 ქულა)?**

***კითხვა №11*** შუა საუკუნეების საფრანგეთში კლავესინის ორი სახეობა შექმნეს: პირველ მათგანს ერქვა იმპერიალი, რომელიც დიდი მოთხოვნილებით არ სარგებლობდა და მალე დავიწყებას მიეცა; მეორე კი დღემდე არსებობს...

**რა ჰქვია მეორე (8 ქულა)?**

***კითხვა №12*** თავისი სატრფიალო რომანებით ცნობილმა პოპ-ვარსკვლავმა მადონამ ამის შესახებ თქვა: ეს იმდენად კარგი რამ არის რომ ადამიანს მოლოდინისაგან ათავისუფლებს და უამრავ დროსა და ენერგიას ზოგავსო....

**რა იგულისხმა მადონამ (11 ქულა)?**

პასუხები იხილეთ მე-9 გვერდზე





**თარაზულად**: 1. ჯეიმს ფენიმორ კუპერის რომანი. 4. ღმერთის არსებობის უარყოფა. 7. ერთგვარი საზეიმო კოსტიუმი. 13. თეთრი, ბლანტი საკვები პროდუქტი, რომელმაც სახელი ფრანგი გენერლისგან მიიღო (თურმე!). 14. თერძის სამუშაო იარაღი. 15. ნებისმიერ ქმედებას თან უნდა ახლდეს... რა? 18. ფორმულა 1-ში მონაწილე ერთ-ერთი გუნდი. 19. ფიზიკური ვარჯიშების სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის სხეულის მუსკულატურის განვითარებას. 23. სახელი, რომლითაც ამერიკელები დუაიტ ეიზენჰაუერს მოიხსენიებდნენ. 24. სამხედრო ნაწილები, რომლებიც განლაგებული არიან მუდმივად ან დროებით ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში. 25. ძველ თბილისში საზოგადოებრივი კვების ობიექტის მუშაკი. 28. ერთ-ერთი ქართული საფეხბურთო კლუბი, რომელიც საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში თამაშობდა. 29. მთიდან სწრაფდაშვება.... სპორტის სახეობა 30. ვინ იყო არინა როდიონოვნა მავანი პოეტისათვის? 35. ფეხსაცმლის ატრიბუტი. 36. მეღუღუკეთა კოლექტივი? 37. ფქვილოვანი ნახშირწყალი, მიიღება მცენარეებისგან. 40. ჟიულ ვერნის „საიდუმლო კუნძულის" პერსონაჟი. 41. ქალაქი აზოვის ზღვის სანაპიროზე. 42. ყურის ანთება. 46. ე.წ. „ლაინსმენი" ფეხბურთის მატჩის მთავარი არბიტრისათვის. 47. გასაყიდი საქონლის ფასების ცნობარი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი კერძი ბანკირი დანგლარისათვის 5 000 000 ფრანკი ღირდა (გაიხსენეთ „გრაფი მონტე-კრისტო"). 50. პირი, რომელსაც მოცილებული აქვს სასქესო ორგანოები. 51. ბულგარული წარმოშობის რუსი საესტრადო მომღერალი. 52. ასტრიდ ლინდგრენის პერსონაჟი ბიჭუნა. 56. იტალიის ოლქი, რომელმაც სახელი მიიღო VI. ჩამოსახლებული წითელწვერიანი გერმანელი ტომებისგან. 57. ერთ-ერთი ძველბერძნული ქალაქ-სახელ-მწიფოს მკვიდრი, რომელიც გამოირჩეოდა აღზრდის მკაცრი მეთოდებით. 60. სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი. 61. ოლეგ ეფრემოვის მიერ განსახიერებული პერსონაჟის პროფესია ფილმში „ერიდე ავტომობილს". 62. კარიესის საწინააღმდეგო სადეჭი რეზინი. 66. ვინ იყო სპარტაკი? 67. ფარისებრი ჯირკვლის განუვითარებლობით გამოწვეული გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანი. 68. ორგანო, რომელიც მეტყველებაში გვეხმარება. 71. სვლა ჭადრაკში. 72. სპეციალობის პრაქტიკულად დაუფლება. 73. ადამიანის აგებულების შემსწავლელი მეცნიერი. 77. სამყარო, რომელიც XX საუკუნის მიწურულს ხელახლა იქნა აღმოჩენილი დედამიწის „ერთი მეექვსედისათვის". 78. იამაიკელები აღნიშნავენ, რომ მათ ჰყავთ ორი დიდი თანამემამულე. პირველი იყო ბობ მარლი, ვინ არის მეორე, თუ ცნობილია, რომ იგი ქალია? 79. მუსლიმანთა დღესასწაული. 84. მატარებლის მოსაცდელი. 85. მხარე ევროპაში, სადაც სანტა-კლაუსი ცხოვრობს. 86. გვერდის ბოლოს მოთავსებული შენიშვნა. 89. მანქანის ტიპი, რომელსაც ლიუბა უსპენსკაია უმღერის. 90. ოცწუთიანი დროის მონაკვეთი ერთ-ერთ სპორტულ თამაშში. 91. იგივეა, რაც მანა. 92. საგანგებო დავალება. 93. აფხაზური დამწერლობის შემქმნელი. 94. მინერალი, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილი სილიციუმის ჟანგია.

**შვეულად**: 1. ის, რაც მიიღება ორი ან რამდენიმე რიცხვის შეკრებისას. 2. სახელმწიფო, რომლის ძველი სახელწოდებაა ცეილონი. 3. უდიდესი მოღელიორი, რომლის სახელი სამუდამოდ 5 რიცხვს დაუკავშირდა. 5. (....) სამორანო, ჩილელი ფეხბურთელი. 6. მძლეოსნობის ერთ-ერთ სახეობაში მონაწილე სპორტსმენი. 8. სახელმწიფო ინდოჩინეთში. 9. სასიამოვნო, სათუთი, არაუხეში. 10. მიწების ხელოვნური მორწყვის ღონისძიებათა სისტემა. 11. ძალაუფლების ხელში ჩაგდება ძალის გამოყენებით. 12. ფრანგ მამაკაცთა სახელი. 16. ჩინეთის ქალაქ კულჯის მეორე სახელწოდება. 17. ურთიერთსაპირისპირო ვნებების მომცველი, ანუ როგორი? 20. საბჭოთა კინოს ერთ-ერთი პერსონაჟი ძაღლი. 21. კერამიკული ნაკეთობა ელექტრული თვალსაზრისით. 22. ტელესკოპის გამომგონებელი ევროპელი მეცნიერი. 26. საფრანგეთის უდიდესი მდინარე. 27. (.....) კვიტაიშვილი, ჩვენი პოეტი. 31. ბერძენი მწერლის არიანეს თხზულება, რომელშიც აღწერილია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების ამბავი. 32. თავმდები. 33. წარსულის უდიდესი მოჭადრაკე, რომელსაც „ჭადრაკის პროფესორიც" კი უწოდეს. 34. იტალიის კუთვნილი კუნძული. 38. ატომის თვისება შეუერთდეს სხვა ატომების გარკვეულ რაოდენობას. 39. უძრავი ქონება საკურორტო ტერიტორიაზე. 43. მეცნიერება, რომელიც იკვლევს ძველ ასურეთს. 44. მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა უმაღლესი წოდებულება. 45. ებრაელებისადმი სიძულვილი. 48. ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულება. 49. „არაჩვეულებრივი გამოფენის" პერსონაჟი. 53. სამედიატორო სასამართლო. 54. ხუთი კაპიკი. 55. უძველესი სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. 58. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მე-16-17 საუკუნეების მიჯნაზე მწერალ-პუბლისისტები, რომლებიც ილაშქრებდნენ აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. 59. ქრისტიანული რიტუალი. 63. საამშენებლო მასალა. 64. ფიზიკის ნაწილი. 65. ციხე-სიმაგრე არაგვის ხეობაში. 69. ასაფეთქებელი ნივთიერება. 70. ადამიანის ერთ-ერთი ნაწილი... ძველი თქმით 74. ქალაქი იტალიაში ადრიატიკის სანაპიროზე. 75. როლან ბიკოვის როლი ფილმში „ბურატინოს თავგადასავალი". 76. რაიმე საქმის წინასწარგანზრახვით ჩაფუშვა. 80. დაფა, რომელსაც იყენებდნენ არითმეტიკული ანგარიშისთვის ძველ საბერძნეთსა და რომში. 81. კენიგსბერგელი ფილოსოფოსი. 82. მილანის საფეხბურთო კლუბი. 83. რუსეთის საფეხბურთო კლუბი. 87. მუსიკალური ინსტრუმენტი. 88. ძველქართული სიგრძის საზომი.

# აფორიზმების ანთოლოგია

